№ 92
ოთხშაბათი, 14 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 92
ოთხშაბათი, 14 მაისი 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

შემდეგი ნომერი გაზეთისა, დღესასწაულისა გამო, გამოვა პარასკევს 16 მაისს.


## ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲡ (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21) და „წერა კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.

საზაფხულო თეატრი
(პუშკინისეული)
ოთხშაბათს 14 მაისს
ახლად შემდგარი ამხანაგობა ქართული საერო

**ᲮᲝᲠᲝᲡᲘ**

ახლად შეკერილ საგანგებო ქართულ ქულაჯებით პირველად ტფილისში ა. კავსაძის ლოტბარობით გამართავს

**ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ**

ოთხს განყოფილებით 26 სიმღერით.

ხორო შეასრულებს მხოლოდ საქართველოს ყველა კუთხეების საუკეთესო ხალხურს ხმებს: ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი საღამოსი 8 საათზედ.
კონცერტისა სრულ 9 საათზედ.
გამგე ხოროსი და კონცერტისა
ივ. მჭედლიშვილი.

24 მაისს ქართ. დრამ. საზოგადოების სასარგებლოდ **Ბ. ᲥᲚᲔᲜᲝᲕᲡᲙᲘ** გამართავს

ქართულ სიმფონიურ კონცერტს.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართულ სიმღერის მოყვარულთ, რომელნიც მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას კონცერტში, მობრძანდნენ პირველს რეპეტიციაზე 15 მაისს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში.

(2—უ—1)

Ქ. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ
აფთიაქის საწყობში (складъ)
პროვიზორის
**Ნ. Ი. ᲑᲐᲖᲘᲔᲠᲝᲕᲘᲡᲐ**

მიღებულია ბევრი: გოგირდი (сѣра), სპილენძის შაბიამანი (мѣдный купоросъ) და ყოველ-გვარი სადეზინფექციო და საკოსმეტიკო წამლები და სხვა-და-სხვა საოჯახო ნივთეულებანი.

პატივისცემით პროვიზორი ნ. ბაზიეროვი.

(3—107—2)


## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 14 მაისს, საზაფხულო თეატრში (პუშკინისეული ბაღი) დანიშნულია ახლად შემდგარის ქართულ ხოროს კონცერტი, ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივ. მჭედლიშვილის გამგეობით. ხორო შეასრულებს მხოლოდ საუკეთესო ქართულს ხმებს. ხოროს ეცმევა ახლად შეკერილი ქართული ქულაჯები. პროგრამა ძლიერ ვრცელია, ოცზედ მეტი ნომერი სულ მთლად ახალია ტფილისის საზოგადოებისათვის. იმედია, ქართული საზოგადოება თანაგრძნობით დაუხვდება ამ სასიამოვნო საქმეს და დაესწრობა კონცერტს.

*** კვირას, 11 მაისს, „ნაძალადევში" გამართული იყო სკოლის სასარგებლოდ პატარა დღესასწაული. ნაძალადევის მცხოვრებლებს სადღესასწაულო ჰქონდათ. მოწვეულები იყვნენ გარეშე სტუმრებიც, რომლებიც უფრო მეტნი დაესწრობოდნენ, ცოტათი ამინდს რომ ხელი არ შეეშალა. მაგრამ მაინც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. დღესასწაულში გამართული იყო შემოწირულ ნივთების ქულბაქი. დღესასწაულმა ძლიერ მხიარულად ჩაიარა, ყველას რაღაც სიამოვნებით უცემდა გული. გეგონებოდათ მთელის ნაძალადევის მცხოვრებლები ერთი ოჯახია, ისე თანაგრძნობით ეკიდებოდნენ საქმეს. იმედია, ბ-ნი ჩარკვიანი, მასწავლებელი ქალი და იმათი თანამოძმენი კვლავ განაგრძობენ სკოლის საკეთილდღეოდ ამ გვარ სასარგებლო საქმეებს.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს „იასლი"-ს ბავშთა საზოგადოების საავადმყოფოს დიდძალი წითელით ავადმყოფი მიაწყდა, ხსენებული საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ საავადმყოფოში ადგილის უქონლობის გამო წითელით ავადმყოფნი არ მიიღებიან, ხოლო დიდების მიღება არას გზით არ შეიძლებაო.

ამ ჟამად საავადმყოფოში იღებენ ავადმყოფს შინაგანის სენით შეპყრობილთ, ხუნაგიან და ქუნთრუშიან ბავშვებს და აგრეთვე იმათ, რომელნიც წითელისაგან მორჩენილა და სხვა სატკივარი გასჩენიათ.

*** ხმოსნობაზედ კენჭის ყრის მსურველთ 14 მაისამდე უნდა განაცხადონ თავიანთი სურვილი, რადგან შემდეგ თხოვნები აღარ მიიღება. განცხადება მიიღება 14 მაისსაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს უქმეა.

*** 12 ამა მაისამდე 119 კაცმა განაცხადა სურვილი ხმოსნობაზედ კენჭის ყრისა.

*** 1 და 3 მაისს სიღნაღის მაზრის ზოგიერთ სოფლებში წვიმამ, სეტყვამ და ქარმა საშინლად დააზიანა ვენახები და ჯეჯილი. განსაკუთრებით დაზარალდა: კაკაბეთი, რომელსაც 8,000 მანეთი ზარალი მოუვიდა, ქოდალო—290, ჰერემი—1,000 და ჩაილური—3,000 მან.

*** გუშინდლამდე ქალაქის გამგეობიდგან აუღიათ 860 ბარათი, რომლითაც შეიძლება ქალაქის ხმოსნების არჩევანზედ დასწრება.

*** ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ-ნ სვიმონოვს დაუჭერია და გადაუცია სასამართლოსათვის ყალბის ფულის მჭრელები. ბ-ნ სვიმონოვს წინათვე შეუტყვია, სადა და როგორ ამზადებდნენ ფულს, შემდეგ იქაურ ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგების სტეფანოვისა და კარვალინსკის თანადასწრებით გაუჩხრეკია ოქრო-მჭედლის პავლე ო—ზოვის სახელოსნო და იმასთან მცხოვრებელის ქალის პ. ბინა. სახელოსნოში უპოვიათ სხვა-და-სხვა იარაღი და ნივთი, რომლის შემწეობითაც

# ფელეტონი

—

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ

—

ზოგსა სახელი დიდი აქვს,
სახრავი-კი—არაფერი,
მისი სიტყვა, მისი საქმეც—
სულ ქატოა ანაცერი;
მაგრამ ერი არ სტყუვდება:
ჰქრება ყალბად განაბერი,
როგორც ყინვა სამაცდუროდ
ოქროს წყალში დანაფერი.

დ. მაჩხანელი

—⊹◆◆⊹—

### ᲜᲘᲭᲘᲐ ᲗᲣ ᲙᲐᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ?

(ქუთაისის თავად-აზნაურობის საყურადღებოდ).

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ ისახელა თავი ოცს აპრილს... მოგეხსენებათ, ეს ბატონი უკვე ოთხი წელიწადია განაგებს ამ საბრალო ბანკის საქმეებს წინააღმდეგ ბანკის პატრონთა სურვილისა და ისე გაკადნიერდა, ლამის აქ თვით-მპყრობელობაც დაიჩემოს. რად გაგიკვირდებათ, რომ გამარჯვებით გალაღებულმა აზნაურმა ერთს მშვენიერს დღეს გამოუცხადოს პატივცემულს ქუთაისის თავად აზნაურობას: „თქვენ, მოწყალენო ხელმწიფენო, ნება არა გაქვთ მომთხოვოთ ანგარიში თქვენს საქმეში, რადგან მე თავმჯდომარეობ ბანკში „მოწყალებითა ღვთისითა" და არა თქვენის ნებითაო"? დიახ, ადვილად მოსალოდნელია ბ-ნის კალისტრატე ჩიკვაიძის გამბედაობისაგან ამ გვარი პასუხი და ისიც მოსალოდნელია, რომ ამ გვარის პასუხით განცვიფრებული თავად-აზნაურობა დაუფიქრდეს თავისის ბანკის ეხლანდელს მდგომარეობას და დარცხვენილმა თავი ძირს დაუშვას.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობა სამართლიანს საყვედურს თვით მტრისაგანაც არ იუკადრისებს, არამც თუ გულწრფელ მოყვრისაგან, და კიდეც ამისთვის ვბედავთ ლაპარაკს. რომ ქუთაისის თავად-აზნაურობას არა სასურველი საქმე სჭირს—ეგ თითონაც იცის, თუ თავს გაუტყდება. ისიც მართალია, რომ კალისტრატე ჩიკვაიძის გაბატონებით მან ნაქები სახელი გაიფუჭა ქვეყნის თვალში და ამის გამო უცხოეთის მწერლების სასაცილოდაც გაიხადა თავი. ბ-ნმა კალისტრატემ, იქნება, ბევრი რამ სხვაც იკადროს, მაგრამ მთელი საზოგადოება რად ილანძღება? რა საჭიროა დამალვა, ან სანამდის უნდა გავჩუმდეთ? რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ბანკი—ეს ერთად ერთი დაწესებულება, რომელსაც მოვანდომეთ ამდენი დრო, მოცალეობა, შრომა და რომლისაგანაც ცამდის აშენებას თუ არა, ძვირფასს ნაყოფს მაინც მოველოდით? ამის პასუხს თქვენ ბ-ნ ჩიკვაიძისაგან ვერ ეღირსებით, რადგან ის ბანკში თვითმპყრობელია და პასუხს არავის უგებს, მაგრამ, სამაგიეროდ, უცილობელი ამბები საშინელს პასუხს იძლევიან. ეს ამბები ხმა-მაღლა ჰღაღადებენ ჩვენის ბანკის დამხობას, გათახსირებას.

ხოლო საკითხავი ეხლა ის არის, რით აიხსნება ბ-ნ ჩიკვაიძის ამისთანა საოცარი ძლევა-მოსილობა? რით დაუმსახურებია მას ჩვენი ბატონობა, რა უნარის, რა ისეთი ნიჭის პატრონია იგი, რომ ხელში ჩაუგდია ბელადობა, წინამძღოლობა ისეთს რთულს საქმეში, როგორიც არის ბანკის მართვა? ნუ თუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს იმ ბუნებრივს კანონს, რომლის ძალითაც ადამიანთა კრებულში ჰბელადობს ერთი კაცი, გმირად წოდებული, რომელსაც ხალხი, ბრბო წამოაყენებს ხოლმე წინ, როგორც ბუნებით სხვებზედ უფრო ნიჭიერს, მტკიცე ხასიათისას და გამრჯელს? ბ-ნს ჩიკვაიძეს რომ მართლა რაიმე გმირისებური ბუნებრივი უნარი, ნიჭი ემჩნეოდეს, მაშინ რაღა გვეთქმის, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც ერთის ნიჭის პატრონი არა ბრძანდება ბატონი და მაინც ჩემობს საზოგადოებაში პირველობას. ერთი ვიკითხოთ, რა ღირსებით, უპირატესობით შეუძლიან ჩიკვაიძემ თავი მოიწონოს? მჭევრმეტყველობით თუ? ეს ნიჭი დიახაც საჭიროა, რომ მსმენელებზე გავლენა იქონიო, რომ მოხიბლო მისი გული. ვინ არ იცის, რომ ჩიკვაიძე არამც თუ მჭევრ-მეტყველი არა ბრძანდება, დალაგებულად ლაპარაკიც-კი არც ერთს ენაზედ არ შეუძლიან; მჭევრ-მეტყველობამ თქვენი ჭირი წაიღოს, ნეტავი ამ ლაპარაკში ლოღიკა მიაჩნდეს სავალდებულოდ და ლაპარაკის დროს ჯამბაზივით განსაცვიფრებელს ყირამალებს არ გადადიოდეს. ჩვენში თითქმის საარაკოდ გამხდარა ჩიკვაიძის ორატორული ნიჭი. ბევრს სასაცილო ამბებს გაიგონებთ ჩვენში ამნიჭის შესახებ...

ერთი მიბრძანეთ, განა ჭკუათამყოფელი და გამჭრიახი კაცი იზამდა იმას, რაც მან ჰქმნა 20 აპრილს „ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების" წევრთა საზოგადო კრებაზედ? მას რომ თავისი მდგომარეობა ესმოდეს და ქათამსავით თავისს დასაკლავ დანას თითონვე არა სჩხრეკდეს, განა მთელის საზოგადოების აბუჩად აგდებას გაჰბედავდა იმ საღამოს?

როგორც მოგახსენეთ, 20 აპრილს „ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების" წევრთა საზოგადო კრება იყო. დიდი ხალხი დაესწრო ამ კრებას. სხვათა შორის უნდა აერჩიათ ხელ-ახლად ამ საზოგადოების ერთი დირექტორთაგანი, თ. დი კირილე ლორთქიფანიძე, რადგან მას სამსახურის ვადა გაუვიდა. კირილეს კარგად იცნობენ საზოგადოების წევრნი და უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მას ერთხმად ირჩევენ დირექტორად, ასე რომ გვეგონა მისის ამორჩევის გამო წრეულსაც არავითარი წინააღმდეგი ლაპარაკი არ იქნებოდა. ნუ იტყვით, გამოხტა ბ-ნი კალისტრატე და მორთო ყვირილი:

— რას ჰქვია კირილეს ერთხმად რჩევა, ეხლავე უნდა დაუდგათ ყუთი და კენჭი უყაროთ, რადგან მე არა მსურს მისი ამორჩევაო; მე კანონი კარგად ვიცი და ვამბობ, რომ მარტო ჩემი სურვილიც საკმარისია, რომ თქვენს კანდიდატს ყუთი დაედგასო. მარტო კირილეზე როდია საქმე, მეც მყავს კანდიდატი, რომელსაც თქვენ კირილესთან ერთად კენჭი უნდა უყაროთ, ეს კანდიდატი ჩემი სიძე ბრძანდებაო.

განცვიფრებულმა საზოგადოებამ ჰკითხა ჩიკვაიძეს:

— „მერე კენჭი რანაირად უნდა ვუყაროთ ვიღაც თქვენს სიძეს, რომელიც დღეს აქ არა ბრძანდება და სრულიადაც არ ვიცნობთო?

— „ჩემი სიძის ცნობა თქვენთვის სრულიად საჭირო არ არისო, ბრძანა ბ-ნმა ჩიკვაიძემ, იმის მაგიერად მე ვარ აქ და რასაც ვიტყვი, თქვენ უნდა აასრულოთო. თუ ჩემი სიძე არ მოგწონთ, მაშინ ჩემი უმცროსი ძმა აქ ბრძანდება და თქვენს ქებულს კანდიდატს კირილეს გვერდში ის ამოუყენეთო.

ასტყდა საზოგადოებაში ერთი ალიაქოთი ჩიკვაიძის წინადადების გამო; პატივცემულმა კირილემ შეურაცხყობად მიიღო უღირსის კანდი-

ვერცხლის ფულს ასხამდნენ თურმე. პ. ბინაზე უნახავს მრავალი უკვე მომზადებული ფული. ფული კარგა და სუფთად არის მომზადებული და ძნელი გასარჩევია ნამდვილისაგან. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ სამნი ძმანი ა—ზიანცები, ორი ძმა ა—ზიანები, ხ—რაიანცი, ორი ძმა ხ—ქაიანები, ზ—ბიანცი და მ—ზიანცი, რომელნიც უკვე დაუპატიმრებიათ. („კავკასი“.)

*** მთავრობას უკვე გადაუწყვეტია, რომ ქუთაისშიაც, როგორც ტფილისში, ააგონ სამოსამართლო დაწესებულებისათვის ერთი შენობა.

*** სადგ. ბორჯომი. აქაური ქართველობა ისედაც მოკლებულნი ვართ ქართულს სამკითხველოს და წიგნებს და ახლა გაზეთის დროზედ მიუღებლობაც ძალიან გვაწუხებს. კარგია, თუ მესამე ან მეოთხე დღეს მივიღეთ და ისიც ვინ იცის ვისგან, ხანდახან სულ არ მოდის. ვსთხოვთ, ვისიც ჯერ არს განკარგულება მოახდინოს, რომ თავის დროზედ შეგვეძლოს გაზეთის მიღება და თუ არ გამოგზავნიან, შეინახონ მაინც, რომ ჩვენ წავიღოთ ფოსტიდგან.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი: ამ თვის 17-ს აქ იქნება წარმოდგენა ახალ აშენებულ-გამართულ თეატრში. თელავიდგან მოწვეულია ბ-ნი დ. აწყურელი.

*** სოფ. ბარალეთი, (ახალ-ქალაქის მაზრა). თქვენი მტერი, რომ ჩვენ თავს ზარი დაგვცა 6 მაისს მოსულმა სეტყვამ: შუადღის საათის ორზედ წამოვიდა დიდი წვიმა და თან მოჰყვა თხილის გულის ოდენა სეტყვა. სეტყვა მოდიოდა სწორედ 32 წამი. იმდენი სეტყვა დასდო, რომ ხალხი ერდოებიდგან არნადებით და ნიჩბებით ხვეტავდა. ქუჩებში სეტყვა იდო სრულ ხუთს საათს. მხოლოდ კედლების ძირში-კი მეორე დღის ორ საათამდის მოუნდა დადნობას. ეხლანდელ მოცდენას და დაუთესველობას ვიღა სჩივის, რომ ერთად ერთი ჩვენი ცხოვრების სახსარი ძველი თესლის ჯეჯილები არ გაენადგურებინა. ეს ხომ ყველასათვის სავალალო და სატირელია პურის მოუსავლობა, მაგრამ უმეტესად ჩვენთვისაა, რადგანაც, იმის გარდა, ჩვენ არა გვაბადია რა, არც ტყე, არც ვენახი და არც ბოსტანი.

*** 10 მაისს, ღამის 12 საათზე აბანოდგან მოდენილან: გაბო გოგიევი, გიორგი გუშარაშვილი და კოტე გურგენიძე. სირაჩხანაში რო აუვლიათ, დახვედრიან ვილაცა ბოროტ განმზრახველები და ერთ ამათგანისათვის წაურთმევიათ საათი 9 მ. ღირებული და ექვსი მანათი ფულად. იქვე მდგომ პოლიციის მოხელესთვის გამოუცხადებიათ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია გაძარცულისათვის.

*** 12 მაისს მე-9 ნაწილის ბოქაულისათვის გამოუცხადებია ნად. სოვეტ. პეტრე მიხეილის ძე ფედოტოვს, რომ ჩემი სახლის ბალკონზე თამაშობდა 4 წლის ყმაწვილი ვიქტორი, ლევ გაბრიელის ძე უხოვის შვილიო. თამაშობის დროს ბალკონიდგან გადავარდა, ძლიერ დაშავდა და მიხეილის საავადმყოფოში გავგზავნეო.

*** 13 მაისს დილის $8^1/_2$ საათზედ მე 9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა, ბაბანოვის მდგმურმა პავლე მინოევის ძე კოტანიანცმა, რომ ღამე 12—13 მაისისა, საწოლ ოთახის კარები ღია დამრჩენოდა ჰ ვიღამაც მამპარა: სერთუკი, ჟილეტკა, პიჯაკი, პალტო და შარვალი, სულ 44 მან. ღირებული და ფულად 32 მ. 65 კ. ეჭვი თავისს მოსამსახურე, ჯარის კაცად ნამყოფ ჩეჩელსკიზედ გამოაცხადა, რომელიც მაშინვე შეიპყრეს და სასამართლოს გარდასცეს.

*** 11 მაისს, დილის 12 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში, ნემენცების სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-მა შვარცმა მიიყვანა საექიმოდ 12 წლის ბავშვი კარლი, რომელიც სასწავლებლის ეზოში თამაშობის დროს ასულა ერთ ხეზე, ჩამოვარდნილა ხიდგან გაუფრთხილებლობისა გამო და ძლიერ დაშავებულა.

## ქალაქის საბჭო

12 მაისი.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა საბჭოს მოახსენა, რომ მნაცაკანოვის ხიდის შემოსავლის იჯარით აღე ბ-ნმა ხანდამოვმა აღარ ისურვა, რადგან ეს საქმე საზარალოდ სცნო თავისთვის და ამიტომ იჯარა ბ-ნს ალექსანდრე-ბეგ ჯალალოვს უნდა გარდაეცეს, რომელიც 6400 მან. იძლევაო.

საბჭომ ეს წინადადება შეიწყნარა.

საბჭოს გამგეობის წინადადება მოხსენდა იმის შესახებ, რომ საჭირო მუხრანსკისა და ანჩისხატის ქუჩები გაფართოვდეს იმ ადგილს, სადაც ამ ქუჩებს თავ. მუხრან-ბატონის მამული საზღვრავსო.

ეს მოხსენება საბჭოს მიერ შეწყნარებულ იქმნა.

საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება იმის შესახებ, რომ 1897 წელს, 17 მარტს, საბჭომ დაადგინა — პოღოს არუთინოს მივყიდოთ ქალაქის მიწა გამგეობის წინადადების თანახმადაო. ხოლო საბჭოს დადგენილებაში უნდა იყოს ნაცვლად „გამგეობის წინადადების თანხმად“ „დამფასებელ კამისიის წინადადების თანხმადაო,“ რადგან გამგეობის წინადადება საბჭოს მიერ უარყოფილ იქმნა და დამფასებელ კამისიის წინადადება მოიწონაო.

საბჭომ ამ მოხსენების კვალობაზედ შესცვალა 1897 წ. 17 მარტის დადგენილება.

საბჭომ მოისმინა და შეიწყნარა გამგეობის მოხსენება თავ. ლუკა ბებუთოვის მამულის გაწეს-რიგების შესახებ.

საბჭომ აგრეთვე შეიწყნარა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ პეტრუსა ხაჩატუროვს საქალაქო მიწა მივყიდოთო.

საბჭოში წაკითხულ იქმნა კუზმა პაპკოვის თხოვნა იმის შესახებ, რომ ის მიწა, რომელზედაც შენობები მაქვს მე აგებული, ჩემს საკუთრებად ჩასთვალეთო.

საბჭომ გამგეობას დაავალა — იურისტ ხმოსანთაგან კამისია შეადგინე და იმ კამისიამ გამოირკვიოს ეს საქმეო.

საბჭომ განიხილა არშაკ ნალბანდოვის თხოვნა და გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ რიყის ვიწრო ქუჩა განკარგდესო, და შეიწყნარა.

საბჭომ საჭიროდ სცნო ძველ დამოენის ქუჩის მემამულეთა თხოვნა შეეწყნარებია ყრუ ვიწრო ქუჩის სასიარულოდ გახსნის შესახებ.

საბჭომ მოისმინა სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორის წინადადება იმის შესახებ, რომ ფერშალი დავით გოთვაძე 25 წელია პატიოსნად ასრულებს თავის თანამდებობას და საჭიროა დასაჩუქრებულ იქმნასო. გამგეობასა და საფინანსო კამისიას ის აზრი გამოუთქვამთ, რომ ბ-ნ გოთვაძეს 300 მან. მიეცეს საჩუქრადო.

საბჭომ 32 ხმით 3-ის წინააღმდეგ დაადგინა მიეცეს ბ-ნ გოთვაძეს საჩუქრად 300 მან.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ტრაქტირების პატრონთა საჩივარი იმის შესახებ, რომ ერთობ დიდი ბაჟი გვაქვს შეწერილი და შეგვიმცირეთო.

საბჭოს დადგენილებით ეს საქმე გამგეობას გარდაეცა განსახილველად.

დასასრულ საბჭო ხმოსან რიდის წინადადების განხილვას შეუდგა. ბ-ნი რიდი თხოულობს, რომ კვირა-უქმე დღეებით ქალაქის გამგეობის ყველა მსახური, დიდიცა და პატარაც, მუშაობიდგან განთავისუფლებულ უნდა იყოსო.

ამ საგანმა გაცხარებული სჯა-ბაასი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა, რომ საჭიროა რიდის წინადადება შეწყნარებულ იქმნას. ზოგი-კი — როგორ შეიძლება ყველა მსახურის განთავისუფლება, რადგან კვირა-უქმე დღეობითაც ისეთი საქმეა ხოლმე გასაკეთებელი, რომ იმისი სამერმისოდ გადადება ყოვლად შეუძლებელიაო. მაგრამ თუ რომელიმე მსახური უქმე დღეს იმუშავებს, გამგეობამ სხვა რომელსამე დღეს უნდა მისცეს თავისუფლება ასეთს მუშას, და ეს ხომ სულ ერთია, კაცს გინდა კვირას დაუსვენია და გინდ ორშაბათსაო. ზოგიც იმას ამტკიცებდა, რომ საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ კვირა დღეობით მაღაზიები დაკეტილი უნდა იყოს და ნოქრებს თავისუფლება ჰქონდეთ მინიჭებული, არ სრულდებაო. მართალია — პატრონები მაღაზიებს ჰკეტავენ, მაგრამ კვი-

---

დატის გვერდში ამოყენება და გავიდა კრებიდგან. აისრულა გულის წადილი ჩიკვაიძემ, ისარგებლა თავმჯდომარის გულ-კეთილობით და დაადგმევინა ყუთი კირილესთვის. საზოგადოებამ 173 ხმის უმეტესობით 32 წინააღმდეგ ხელ-ახლა აირჩია დირექტორად კირილე ლორთქიფანიძე.

ეხლა ვკითხოთ, რა დაამტკიცა ჩიკვაიძემ თავისის მოქმედებით? ნუ თუ მართლა ისახელა თავი კარგის კაცობით? არა მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის მეტად კადნიერი კაცია და მეტი არაფერი. მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ კადნიერებით მოხვეჭილს სახელს დღე მოკლე აქვს... ვითომ რაო-და, კირილე ჩიკვაიძის მტერია, როგორც საზოგადო მოღვაწისა, და უნდოდა მისთვის სირცხვილი ეჭმევინა იმითი, რომ 32 მომხრე იშოვა სადღაც იმისთანა უმეცარს ხალხში, სადაც ბაზარი და გასავალი აქვს იმის უზომო კადნიერებას. თუნდა 32 კი არა, ორჯელ 32 მომხრე ეშოვა ბ-ნს კალისტრატეს, მერე რა? განა ჩვენ არ ვიცით, რომ მომხრეები ჰყავს? ხოლო საკითხავი ის არის, ჭკუისა და ზნეობის პატრონები ურევია იმის მომხრეთა შორის? ბრბოში მომხრეების შოვნა ყველას შეუძლიან, თუ კი არავითარს საშუალებას არ დაზოგავს, იმიტომ რომ ბრბო უმეტეს ნაწილად კარგს ცუდისაგან ვერ არჩევს. ჩვენ თამამად ვამტკიცებთ, რომ იმ 32 კაცში, რომლებიც შეუერთდნენ ჩიკვაიძეს და კირილესთანა კაცის შერცხვენა განიზრახეს, არც ერთი შეგნებული არ ურევია. ისინი არიან ბრბოს წარმომადგენელნი, ყურ-მოჭრილი მონები ჩიკვაიძისა, რომელსაც შეუძლია ისინი კიდეც შეკაზმოს, მოაჯდეს ზურგზედ და აჯიритოს.

შეგნებული და თავისის ინტერესების მცოდნე კაცი აბა რად უღალატებდა კირილეს? ვინ არ იცის, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის კირილეს იმ დაწესებულების წინაშე, რომელშიაც ის ამდენი წელიწადია დაუღალავადა ჰშრომობს. ეს საზოგადოება ამ კაცის დახმარებით დაარსებულა და, თუ დღეს საქმე აქ კარგადად მიდის, — ეგ ყველამ იცის, — კირილე და იმისის მოძმე ამხანაგების მეოხებით. თუ საჭირო შეიქმნა მოვაგონოთ ჩვენს საზოგადოებას კირილეს ვინაობა, მაშ ვიტყვათ, რომ ეს ის კაცია, რომელმაც მთელს საქართველოში დიდი ხანია ზნეობრივის სიფაქიზით სახელი გაითქვა, ეს ის კაცია, რომელსაც ჩვენში ყველა, ჩიკვაიძისა და მისთა მსგავსთა მამულის შვილთა გარდა, ქართველს არისტიდს უწოდებს. როგორ გგონიათ, ადვილია ჩვენს საზოგადოებაში ამ სახელის მოხვეჭა და ბოლომდის შერჩენა? კირილემ შეირჩინა იგი და ისე ჰბერდება, რომ არც ერთხელ არ უღალატნია ამ დიდებულის სახელისათვის, არ უღალატნია პატიოსნებისათვის და წმიდად, უმწიკვლოდ შეუნახავს თავისი სახელი; მაგრამ მარტო ის კი არ არის საკმარისი საზოგადო მოღვაწისათვის, რომ მარტო პირადად იყოს ზნეობრივად სპეტაკი, არა, მოღვაწის უწმიდესი მოვალეობაა დაიცვას ზნეობრივი იდეალი სხვათა გათელვისაგან, შეგინებისაგან; ის უნდა მუდამ ფხიზლად იყოს და სიკვდილამდე შეებრძოლოს იმ კაცებს, რომლებიც ზნეობრივს გახრწნილებას ჰქადაგებენ საზოგადოებაში. კირილეც ამ გვარი მოღვაწე გახლავთ და კიდეც ამაშია მიზეზი ჩიკვაიძისაგან მისის შეძულებისა...

დიახ, კირილე მტერია ჩიკვაიძისა, რადგან მისი ზნეობრივი მიმართულება ქვეყნისთვის საკეთილოდ არ მიაჩნია. ჩიკვაიძეს სურს კირილესთანა მოსისხლე მტერი მოსპოს და ამისთვის არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ეხლა სცდილობს გამოაძევოს კირილე „საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდგან“, თავისს მომხრე კანდიდატები შეიყვანოს იქ და ბოლოს თითონაც შეძვრეს. მის იქ შეძვრომას რაც მოჰყვება, ადვილად წარმოსადგენია: უთუოდ ამ საზოგადოებასაც ისე მოეღება ბოლო, როგორც სათავად-აზნაურო ბანკს მოეღო. მაგრამ არა, ტყუილად ჰფიქრობს ბ-ნი ჩიკვაიძე თავისის უკუღმართის აზრის განხორციელებას. თითონაც კარგად იცის, რომ დღეს ჩვენში იმას არც ერთი ხეირიანი თანამოაზრე არა ჰყავს. ყველა პატიოსანი და დამოუკიდებელის ხასიათის მქონე კაცი უთუოდ მისი მტერია, იმის გაძევებას სცდილობს ყველა საზოგადო დაწესებულებისაგან, იმიტომ, რომ ქვეყნისთვის იმას გული სრულიად არ შესტკივა და დასცინის იმ კაცებსაც კი, რომლებიც საზოგადო საქმეს პირადში არ ურევენ. შეიძლება ეს კაცები, ჩიკვაიძის აზრით, მისთვის იყვნენ საბრალონი, რომ აშკარად, საქვეყნოდ აღიარებენ თავიანთს გულის წადილს, პირდაპირ შეებმიან ხოლმე მოწინააღმდეგეს, ქურდულად, უკანიდგან მიპარვას არა ჰკადრულობენ. დეე, რაც უნდა, ის იფიქროს ბ-ნმა ჩიკვაიძემ, ჩვენის აზრით კი ეგ თვისება აუცილებლად საჭიროა ყველა პატიოსან მებრძოლისათვის. ვინც სუსტის ხასიათისაა და ქამელეონივით ყოველს წამს ფერს იცვლის, იმისი მომხრეობა ჩვენ არ გვინდა, ჩიკვაიძისთვის დაგვილოცნია!

ნუ ჰგონია ჩიკვაიძეს, რომ ძალიან გამარჯვებული დარჩა 24 აპრილს, რაკი მისი ძმა სარევიზიო კომისიის წევრად იქმნა ამორჩეული მის მიერ და მისის ამხანაგების მიერ მორეკილ ბრბოს წყალობით. აბა უკენჭოდ ყოფილო ეგ ამორჩევა და მაშინ დაინახავდა ქვეყანა, თუ რა სასიქადულო ამომრჩევლები იყვნენ ჩიკვაიძისაკენ. ისიც კარგად ვიცით, თუ ვისის დახმარებით გაიტანა ჩიკვაიძემ ბურთი ლელოზედ, მაგრამ ეგ ჩვენ სრულიად არ გვაწუხებს. მერე რა, რომ მისი ძმა სარევიზიო კომისიის წევრად დაჯდა საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში? საკვირველი ის არის, კალისტრატეს ძმამ რად დაიდგა ყუთი, რად გაილანძღა თავი, თორემ თითონ კალისტრატე რომ ჩინეთის ხელმწიფობასაც არ იუცხოვებს, ეგ ვინ არ იცის!..

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ აქ რაიმე პირადი ინტერესი გვალაპარაკებდეს. ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ ჩიკვაიძესთან გასაყოფი, ან საცილო სრულიად არაფერი გვაქვს. მგონია, არ გვეზრახება ჩვენის უგულითადესის რწმენის გულ-ახდილად გამოთქმა. ჩვენ და ჩვენთან ერთად მრავალს სხვასაც არა სწამს ჩიკვაიძის ნიჭი, როგორც საზოგადო მოღვაწისა; ჩვენის აზრით, რომ ჩიკვაიძეს სხვა არა მოეპოვება რა, გამბედაობისა და კადნიერების გარდა, — ამას ვერ დავმალავთ, თუნდაც ეს მძიმე დანაშაულად ჩაგვეთვალოს.

იქნება, ბ-ნს ჩიკვაიძეს, თუ ის ჩვენს ბანკში კიდევ დარჩა, ბევრჯელ დავუბრუნდეთ შემდეგშიაც, ამ გზობით-კი ჩვენი ნატვრა და სურვილია, რომ მომავალს მაისის კრებაზე ჩვენმა თავად-აზნაურობამ იკითხოს ჩვენის ბანკის ეხლანდელი ვითარება. თავად-აზნაურობა კანონიერი პატრონია ამ ბანკისა და არ ეძრახება მისის ვითარების დაწვრილებით შეტყობა. ბანკის ეხლანდელი მდგომარეობა რომ სანატრელი არ არის, ამას, რევიზორის 1895 წლის ანგარიშის გარდა, ბევრი რამ სხვაც ამტკიცებს...

უშიშარი.

რა დღეობით მუდამ ბაზრობა იმართება და უფროსები თავიანთ ნოქრებს იქ ჰგზავნიან საქონლის გასასყიდადო. ამის კვალობაზედ ზოგი ხმოსანი ამტკიცებდა, რომ რიდის წინადადება შევიწყნაროთო, ზოგი ამტკიცებდა, რომ ნუ შევიწყნარებთ და ზოგიც კიდევ—გამგეობამ ცალკე მოხსენება შეადგინოს ამ საქმის შესახებ და საბჭოს წარმოუდგინოსო.

კრების თავმჯდომარე ხმის ჩამოტარებას შეუდგა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ქაღალდის პარკი გახეთქა ქანდარაზედ, რომლის ხმამაც ბევრი ხმოსანი შეაშინა და გარეთ გაცვივდნენ.

ამის შემდეგ კრება აღარ განახლებულა.

## გაკვრით

ორშაბათს, 12 მაისს, ღამის 11 საათზედ და 9 წუთზედ ქალაქის საბჭოს კრების დროს ერთი უცნაურს უბედურება დატრიალდა, რომელმაც ძლიერ ააშფოთა სახელოვანი ხმოსნები ჩვენის სახელოვანის საბჭოსი და ისე დაუხეთქა გულები, რომ მგონია, დიდხანს ვერ მოვლენ გონებაზედ და ვინ იცის, ამ საზარელისა და გულ-გასახეთქ ამბის შემდეგ არც ერთმა მათგანმა აღარ იკადროს ქალაქის ხმოსნობა და ირჩევს მოშორდეს იმ დარბაზს, რომელშიაც ამ ბოლოს დროს თითქოს რაღაც განგებით მეორე უბედურება მოხდა. ჯერ იყო, ბატონო, და ორშაბათს 28 აპრილს, საბჭოს დარბაზში გაზის ლამპარი გასკდა და გულები დაუხეთქა ხმოსნებს. მას აქეთ გული გულის ალაგას არ ჩამდგარა და ეხლა ხელ-მეორედ კიდევ ლამის საშინელი უბედურება არ დატრიალდა. აი როგორ იყო საქმე.

ორშაბათს, 12 მაისს, ქალაქში მშვენიერი დარი იდგა საღამოს 9 საათამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის საბჭოში ხმოსნები შეიკრიბებოდნენ და შეუდგებოდნენ ქალაქის საქმეზედ ლაპარაკს. გამართეს თუ არა თათბირი, დაიწყო ელვა-ჭექა, წამოვიდა წვიმა, ასტყდა საშინელი ქუხილი, საბჭოს დარბაზში ლამპრებმა იწყეს კრთომა და ჩაქრობას ჰლამობდნენ. (აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზოგიერთ ხმოსნებს გულმა უგრძნო, დღეს რაღაც უბედურება უნდა მოხდესო. მოდიოდნენ, ხელს აწერდნენ, გამოვცხადდით და ისევ მიდიოდნენ). ხმოსნები შიშისაგან ოფლში იწურებოდნენ, მაგრამ შიშის გამოჩენას ვერავინა ჰბედავდა. 28 აპრილსაც ცუდი საქმე მოგვივიდა, ტყუილად შეგვეშინდა, ხალხმა და გაზეთებმა დაგვცინეს და მოდი ეხლა მაინც გულს გავიმაგრებთ, იქნება არც ეხლა მოხდეს დიდი რამ უბედურებაო, და ვიცადოთ კიდევ და თუ საზარელი რამ მოხდა, გაქცევას მაინც მოვასწრებთო. იქნება ასე ჰფიქრობდნენ სახელოვანი ხმოსნები, რომ უეცრად რაღაც უცნაური ხმა გაისმა საბჭოში; ხმოსნებმა ეხლა-კი თავი ვერ შეიმაგრეს და გულის ფანცქალით გავარდნენ გარედ. ასტყდა ერთი ჟრიამული და ვაი-უშველებელი.

—არიქა, თავს უშველეთო! ვინ იცის, იქნება ხმოსნებს ეგონათ, საყასბოზედ ტრიხინით გასუქებული ღორები შემოესივნენ საბჭოსაო, ან იქნება კიდევ შაუმოვის სელდებით სავსე ბოჩკები დასკდა, ის ბოჩკები, რომლების გახსნა „კულტუროსანთა" მკურნალმა ვერ გაჰბედა. ეგება, ლეგას თოფი გავარდა ან კიდევ, ახარ ვინ იცის, ან ზარბაზანი გააგდეს, ან დინამიტი ემე ქნეს, უფეთქეს საბჭოს.

ასე იყო თუ ისე, დარბაზში არც ერთი ხმოსანი აღარ დარჩა. დარჩნენ მხოლოდ კრების თავმჯდომარე ბ-ნი ივანენკო, ქალაქის მდივანი ბ-ნი ჰრელაშვილი და აქაურ გაზეთების თანამშრომლები. თავმჯდომარემ მიიხედ-მოიხედა და სთქვა: რადგანაც ხმოსნები აქ აღარ არიან, კრებას ვეღარ განვაგრძობთო.

ეხლა არ იკითხავთ, რა ამბავი მოხდა საბჭოს დარბაზში და რამ გამოიწვია ეს აურ-ზაური? თურმე ნუ იტყვით, ხოროზე დამსწრე ვიღაც ხუმარა კაცს ძლიერ მოეწყინა ხმოსნების დაუსრულებელი ლაპარაკი, გაბერა ქაღალდის პარკი და შემოჰკრა ხელი, პარკი გასკდა და ხმოსნებსაც გულები გაუსკდათ.—ეს იყო, მეტი არაფერი... ძლიერ კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ამ გვარ ხუმარებს ყურადღება მიაქციოს, თორემ, ხუმრობა საქმე-კი არ არის, იქნება ეხლანდელმა ხმოსნებმა სულ გაანებონ საბჭოს თავი და მაშინ რაღა ეშველება ქალაქს?

Senex

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. საგარეჯო.** ამ ჟამად ჩვენი გლეხ-კაცობა დიდს ფაცი-ფუცშია. ყველა იმის ცდაშია, ვენახი უწამლავი არ დარჩეს და შარშანდელი დღე არ დაადგეს. ყველასა სწამს და დარწმუნებულია, რომ ვენახის წამლობა ეხლა აუცილებლად საჭიროა, თუ, რასაკვირველია, არ უნდა წრევანდელი მოსავალი ღვინისა შარშანდელსავით გამოაცალოს ხელიდგან ნაცარმა და ობმა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღეს ჩვენი გლეხ-კაცობა მეტად შევიწროვებული და შეუძლებელია, მეტად უძნელდება სურვილი საქმედ გადააქციოს. ამ გაჭირვებულ მდგომარეობით ისარგებლეს ზოგიერთმა ვაჭბატონებმა და ბევრის გლეხის ვენახის მოსავალი ჩაიგდეს ხელში. ეს ვაჭბატონები შემდეგ პირობით იღებენ საწამლავად ვენახებს: მოსავალში მესამედი ან ნახევარი იმისია, მერე თვალი შეუვა თუ არა ყურძენს, ვენახის პატრონს არ შეუძლიან ვენახში შევიდეს და წამლობის დროს ვალდებულია (ვენახის პატრონი) მოეხმაროს. ამ პირობით იღებენ ვენახებს მხოლოდ ორისა და სამის წლით. ბევრი გლეხი კარგადა ჰგრძნობს რომ სასარგებლოც და საჭიროც არ არის ამისთანა პირობა მისთვის, მაგრამ რა ჰქნას, შველა არსაიდგან და არავისგან არ არის და ჰფიქრობს, „სულ არარაობასაო, ცალ-ულელი ხარი ჰჯობიაო".

ამ გვარად გაჭირვებულ გლეხების დასახმარებლად საგარეჯოში მცხოვრებლებმა განიზრახეს ღონისძიება რაიმე ეღონათ და თავისის განზრახვის შესასრულებლად ლატარია გამართეს. შემოსავლით, 38 მ. 80 კ., იყიდეს აპარატები და საპერველები, რომლებიც სულ მცირე ქირით დაეთმობა ყველა მსურველს. მერმისისთვის ამ აპარატებს მიემატება კიდევ რამდენიმე აპარატი, ნასყიდი იმ ფულით, რასაც წრევანდელი ქირა შემოიტანს, და ამ ნაირად რამდენისამე წლის შემდეგ შევიძენთ იმდენს აპარატს, რაც გარესჯელებს დააკმაყოფილებს... დიდს მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, ვინც რაიმე შრომა მიიღო, ან რამე შესწირა ლატარიას.

მ. მურვანიშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენი ყოველ-თვიური ჟურნალი „მოამბე"-ც შეეხო ეხლა ხანს გაზეთებში აღძრულს საგანს სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის შესახებ. მოგვყავს ყოველივე ამ ჟურნალის მიერ ნათქვამი სიტყვა სიტყვით:

ამ ოთხის წლის წინად შემოღებულს ახალს საქალაქო დებულებას მთელს რუსეთში და რუსეთზედ უმეტესად ჩვენში ის ნაკლულევანება გამოაჩინა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობა მარტოდ-მარტო მდიდართ ჩაუვარდა ხელში, თითქო ქალაქს მარტო მდიდარნი ინახავდნენ. ამომრჩევის უფლების მოსაპოვებლად მოქალაქეს ამ დებულების ძალით იმოდენი შეძლება უნდა ჰქონდეს, რომ ქალაქის საქმეთა გამგეობა მოქალაქეთა უმცირესს ნაწილს—შეძლებულთ—რჩება და უმრავლესობა-კი, რომელიც ერთი ათასად მეტს იხდის საქალაქო გადასახადს, ვიდრე ყველა მდიდარნი ერთად, მოკლებულია ყოველ გვარ მონაწილეობას საქალაქო საქმეებში, რადგან ცალ-ცალკე ყოველს მათგანს დადებული ცენზი არ მოეპოვება. ახალი დებულების წყალობით ქალაქს მდიდარნი განაგებენ და რადგან მაძღარს მშიერისა თავის დღეში არა ესმის-რა და აწინდელს დროში ყველა მარტო თავისთვის ზრუნავს და ღმერთი არავისთვის, ამიტომ ჩვენშიც და ყველგან სხვაგანაც ერთი და იგივე სამდურავი გაისმის. ქალაქის გამგენი შეუძლებელთათვის და შეუძლებელთა უბნებისათვის ისე არასა ზრუნავენ, თითქო მათი არსებაც-კი არ ახსოვთო. ასეც უნდა იყოს, თუ მართალია ქართული ანდაზა, რომ მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო; და რადგან შეუძლებელთ ქალაქის საბჭოში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავთ, ქალაქის საქმეები ისე რიგდება, რომ ზემოდ აღნიშნული საყვედური სრულიად საფუძვლიანად ხდება. საჭირო ცენზის გადიდებას და მით მესამე ხარისხის ამომრჩეველთა შემცირებას, როგორც რუსეთის ქალაქების მაგალითმა დაამტკიცა, ის მოსდევს, რომ ამორჩეულთა შორის ნაკლებად არიან უმაღლესად განათლებულნი, რადგან ამ განათლების პატრონნი უფრო მესამე ხარისხის ამომრჩეველნი არიან; და გარდა ამისა ქალაქის გამგეობა ხშირად იმისთანა კაცებს უვარდება ხელში, რომელნიც ყველაფრით გამაძღარნი, ახლა სახელის გულისთვის „ღვაწლობას" ნდომულობენ; ქალაქის ბედ-იღბალი იმათ ისე აწუხებთ, როგორც შარშანდელი თოვლის დადნობა და სხდომაზედ მარტო მაშინ დაიარებიან, როცა ცხარე ბასი და რამე შეტაკებას მოელიან. გარდა ამისა მესამე ხარისხის ამომრჩეველთა რიცხვის შემცირებას ის მოჰყვა, რომ ხშირად საკმარისს რიცხვს ვერა ჰპოვებენ ამოსარჩევ პირებისას და ერთი კრების წილ ორჯერ უხდებათ შეკრება. ოდესაში 400 ათასი მცხოვრებია, 80 კაცი უნდა აარჩიოთ და 50 მეტი ვერ აირჩიეს.

ამ ნაკლულევანებათა ასაცილებლად საჭიროა შემცირებულ იქმნას საჭირო ცენზი, რომ მკვიდრთა უმრავლესობამ შეიძლოს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის გამგეობაში, და გარდა ამისა ხმა ჰქონდეს არა მარტო სახლის პატრონს და ვაჭარს, რომელსაც ერთი პატარა დუქანი გაუხსნია და დამპალი თევზით ჰწამლავს ქალაქის მცხოვრებთ, არამედ იმასაც, ვინც ამ მედუქნისაგან ძალა-უნებურად უნდა იყიდოს დამპალი თევზი და საჩივლელად მასთან და მის ამხანაგებთან უნდა მივიდეს—დამპალი თევზი მომეციო. თუ კაცი ქალაქში რამდენიმე ხანია ცხოვრობს, ესე იგი თავისი შრომით შესაძლებელად ხდის არსებობას იმ ვაჭრების და სახლის პატრონებისას, რომელნიც ქალაქს განაგებენ, მათთან ერთად ისიც უნდა იყოს მიწვეული ქალაქის მართვის საქმეში, რადგან, სხვა რომ არა იყოს-რა, უსამართლობაა ვაჭრებს და სახლის პატრონებს მივუგდოთ ქალაქის მცხოვრები და ვუთხრათ: აჰა, ტყავი გააძრეთ, თუ გინდათ შეწვით, თუ გინდათ მოხრაკეთო!

სხვა ქალაქებისა რა მოგახსენოთ, და ჩვენში კი მართლა რომ ტყავსაც გვაძრობენ და მეტსაც გვიშვრებიან. უპირველეს ყოვლისა ახალი საქალაქო დებულება ჩვენში ისე გაიგეს, რომ ქალაქი სახლის პატრონებისა და ვაჭრების ყოფილაო და რადგან ჩვენში უმრავლესობას ცენზიანი სახლის პატრონებისას და ვაჭრებისას სომხობა შეადგენდა, დაიძახეს ქალაქი სომხებისა ყოფილაო. სხვა არავინ გვინდა, ქალაქი ჩვენია და მარტო ჩვენ უნდა ვიყვნეთო! ქალაქის საბჭო იმისთანა კაცებით გაავსეს, რომელთა კრება დაუმთავრებელს სკანდალს წარმოადგენს და რუსეთის გაზეთების სამასხარაოდ და საკარიკატუროდ გამხდარა.

იზმაილოვ-მატინოვის მცნებას, რომლითაც ნიკოლაძე და ზუბალოვი დაიწუნეს, რატომ სომხები არა ხართო, რასაკვირველია, უფრო ბრმად და დაუფიქრებლივ განახორციელებდნენ მათი თანამემამულენი და ქალაქის გამგეობისაგან დამოკიდებულ ალაგებზედ მსახური პირნი ქალაქის კეთილდღეობას-კი არა, ქალაქში სომხითის დამყარებას-და ცდილობდნენ. ვინ მოსთვლის რამდენი უწესობა და უგვანობა გამოიჩინეს ქალაქის გამგეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში? რომ გავუვლეთ და ყოველი მათი საზიზღარი და თავსგასული საქციელი ჩამოვთვალოთ, პირდაპირი დასკვნა ეს იქნება: თავი დავანებოთ, ნუ ჩავერევით, დეე ამ ოთხ წელიწადსაც მარტონი იყვნენ და საკუთარს ქონში მოიხრაკნენო. და სრულიად ლოღიკურიც იქნება ეს დასკვნა, მაგრამ, საუბედუროდ, ვიდრე მოიხრაკებოდნენ, ბევრს უვარგისს კიდევ იზამენ და იქნება ისე წაახდინონ ქალაქის საქმეები, რომ მათ შემდეგ ვერც კი გაბედოს ვინმემ ქალაქის პატრონობა.

მკითხველი, რასაკვირველია, ხედავს, რომ ჩვენ თუ ცუდად ვიხსენიებთ ვისმე, მარტო იმ სომხებს ვიხსენიებთ, რომელნიც იზმაილოვს და მატინოვს აჰყვნენ და ქალაქი ჩვენიაო დაიძახეს; ჩვენ ჩვენს სომხებზედ ვლაპარაკობთ და სომეხთა ერის წინააღმდეგ ღმერთმა დაგვიფაროს ავი ვთქვათ რამე! ღმერთმა მშვიდობით მოახმაროთ მთელი ოსმალეთი... ჩვენ მარტო იმათი წინააღმდეგნი ვართ, რომელთაც არ უნდა გაიგონ, თუ მართლაც ვერ გაუგიათ რა განსხვავება არის ქალაქის გამგეობის და ქალაქის დასაკუთრების შუა და გაიძახიან — ჩვენს გარდა აქ არავინ უნდა იყოსო! ქალაქის გამგეობა რა არის, რომ მას გამო ეროვნული კითხვის აღძვრა რა უნდა ყოფილიყო და ეროვნული ხასიათიც სომხებმა მისცეს ამ საქმეს და სხვამ არავინ. ამას თითონ ისინიც არა მალავენ და თუმცა ფიცავენ, ეგ მარტო იზმაილოვმა ჩაიდინა, ჩვენ თანახმანი არ ვიყავითო, საქმით კი ყველა აქ მყოფმა სომეხმა იგივე ეროვნული ხასიათი მისცა და დღესაც აძლევს ქალაქის არჩევნებს. ჩვენზე კი გვისაყვედურებენ ის თავხედი, მეტი რომ არა ვთქვათ, რუსულ ენაზედ ბეჭდილი სომხური გაზეთები, რომელნიც სომეხთა ეროვნულ წარმატებას ჩვენს მიმინებში ეძებენ და ცდილობენ თვალები აგვიხვიონ როგორმე.

ვინ აღძრა ჩვენში ეს ეროვნული კითხვა, მკითხველმა უკვე ნახა და, რასაკვირველია, დიდს მადლობას გადაუხდის ჭკვიან კაცად ცნობილს, დაფიქრებულს და ფრთხილს სომეხს: გმადლობ, რომ თვალი ამიხილეო, ეტყვის. ვგონე, მეგობარი მეგონე და, შენ-კი თურმე გესლით სავსე გქონია ეგ გული! ჩემი მეგობრობა ჩემს სულელობად მიიღე და არავითარი სიყალბე არ იუკადრისე, რომ ჩემს სახლში ჭაისტანი დაგეფუძნებინა. გმადლობ, რომ თვალები ამიხილე, ვეცდები ყველას გავაგებინო შენი კაცობა და ნამუსი! ვეცდები ყველანი გამოვაფხიზლო, რომ გაგიფთხილდნენ და აღარ მოგენდვნენ. მე მწამს რომ შენმა ერმა უნდა დაგთრგუნოსთ შენც და შენგან მოტყუებით და სიყალბით შეძენილი სიმდიდრეც.

სწორედ ამ სიფთხილეს და სომეხთადმი უნდობლობას გვისაყვედურებენ ჩვენებური სომხები: მაგითი ორს ერთა შორის უთანხმოებას და სიძულვილსა სთესავთო. რა თანხმობა უნდა იყოს იმ ერთა შორის, რომელთაგან ერთს ნაწილს განუზრახავს მეორის დამონავება ყალბი ფულით შეძენილი სიმდიდრის გასესხებით და აურებელი სარგებლის აღებით? ან რა სიძულვილის ჩამოგდება არის, ჩემი მეზობელი გავაფრთხილო: მაგ კაცს ერიდე, დამპალი საქონელი არ შემოგაპაროს-მეთქი. თუ კაცია, ჯერ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მე იმას ცილი დავწამე და დამპალი საქონელი არა აქვს. ჩვენი სომხები კი იმის მაგივრად, რომ ამ გზას დაადგნენ და გაბედვით დაგვიძახონ—სტყუით, ცილსა გვწამებთ, ჩვენ უპატიოსნოდ არა შეგვიძენია-რაო! სრულად ურცხვად გაიძახიან: ჩვენი რა ბრალია, თქვენ გძინავთ, კარი ღია დაგვხვდა და რაც ხელთ მოგვხვდა დავისაკუთრეთ; განა ეს პატიოსანი და „კუ-

ლტურული“ შრომა არ არისო? ამ გზით ყალბი ფულის გასაღებაც პატიოსანი შრომა ყოფილა, თორემ თვით ქრმიამინში არ დაიწყებდნენ ბერები ყალბი ფულის ჭრას. და ყალბ ფულს რომ მოსჭრიან, რასაკვირველია, იმიტომ მოსჭრიან, რომ გაასაღონ კიდეც თუ კი თვით უწმინდეს ქრმიამინში კადრულობენ ბერება ამ საზიზღარ საშუალების ხმარებას, სხვა რაღას იზამდა; მეტადრე ჩვენისთანა მინდობილ ხალხში! მაშ რად უკვირთ ჩვენებურ სომხებს, რომ მათი საქციელის წინააღმდეგნი ვიყვნეთ? რად უკვირთ, რომ წინააღმდეგობას ვუწევდეთ, როდესაც გვეუბნებიან—ქალაქი ჩვენიაო და საუკეთესო განათლებულ ნაწილს სომხებისას თბილისი მართლა ჭაიასტანის დედა ქალაქად აქვს თავის გეოგრაფიულ რუქაში შეტანილი?!

კიდევ ვიტყვით, სომხებს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ ქალაქის გამგეობასთან ერთად ქალაქის დასაკუთრებაც მოინდომეს და უფრო დიდი შეცდომა ის მოუვიდათ, რომ ჩვენ უკვე დამარცხებული გვგონეთ და ნიშნი მოგვიგეს: თქვენ ვინა ყრიხართ, აქაურობა ჩვენიაო! და მით თავიანთი ფარული წადილი უფრო ადრე შეგვატყობინეს, ვიდრე ჭკვიანი კაცი იზამდა. ჩვენ პეტრე მღვიმევით ჩვენი მასწავლებლების სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ და ვეცადნეთ მტერს მტრულად დავუხვდეთ ჩვენი ხალხი.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ეს გარემოება გონებაზედ მოიყვანს ჩვენს საზოგადოებას, და იგი ეცდება დაივიწყოს ყოველი ურთიერთშორისი უსიამოვნება და განხეთქილება და მომავალს საგუბერნიო თავად-აზნაურთა და ბანკის კრებებზედ მარტო იმ წადილით მივა განმსჭვალული, რომ თავის სიტყვით და კრიტიკით მხოლოდ საქმეს და საქმის ვითარებას შეეხოს და არა პირადობას. ვინც უნდა იყოს და რა პარტიისაც უნდა იყოს, უთუოდ პრინციპებზედ უნდა იყოს დამყარებული და პრინციპიალურ ნიადაგზედ იბრძოდეს, თუ-კი უნდა, რომ საზოგადოებამ მოუსმინოს და მხარი მისცეს. უპრინციპო, უნიადაგო ბრძოლა და ოპპოზიცია მავნე, საზოგადო საქმის დამღუპველი და მირის მთხრელია და ჩვენი დამხობის და მიწასთან გასწორების მსურველი უნდა იყოს კაცი, ჩვენი მტრების ქომაგი და მაშასადამე ჩვენი მოღალატე, რომ მომავალ კრებებზედ აქამომდე არსებული პარტიული დროშა ამართოს და კვლავ განაახლოს ის ჩვენი დამღუპველი განხეთქილება, რომლის წყალობით აგერ რამდენი ხანია შეფერხებულია ჩვენი ყოველი საზოგადო საქმე, რადგან ყოველი ჩვენი მალ-ღონე ამ პარტიულს, პრინციპიალურ ნიადაგს მოკლებულს, ბრძოლას უნდებოდა ჩვენდა უნებურად.

---

## უცხოეთი

—

**საბერძნეთ ოსმალეთის საქმე.** გაზეთებს გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ საბერძნეთ-ოსმალეთის შორის ატეხილ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ათას გვარ მოსაზრებას გამოსთქვამენ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული, რომ ორივე მხარე (საბერძნეთიც და ოსმალეთიც) და ამასთანავე ევროპის დანარჩენი სახელმწიფონიც დასთანხმდნენ და მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. ზოგი ამბობს, რომ ოსმალეთს აზრად აქვს თესალია თითონვე შეინარჩუნოს და ნაცვლად ამისა საბერძნეთს კრიტი დაუთმოსო. ამ ამბებს რაოდენადმე კონსტანტინეპოლიდგან მოსული ცნობებიც ბანს აძლევს, რომლებიც გვაუწყებენ, რომ პორტა კრიტს არ დაიშურებს, ოღონდ-კი თესალიიდგან არ გააძევონო. საბერძნეთმა მაინც კრიტის გულისთვის ასტეხა ომი და ყველა მაჰმადიანი იმ აზრისა არის, რომ ეს კუნძული დიდის სიამოვნებით უნდა დაეთმოს საბერძნეთს, რადგან ამით, საბერძნეთი ვერას მოიგებს და, პირ-იქით, უფრო დიდს უსიამოვნებასაც ჰნახავს კრიტელებისაგან, ვიდრე ეს ოსმალეთს მოსდიოდაო. ევროპასაც არ აშორდება დავიდარაბა, თუ კრიტი საბერძნეთს შეუერთდა; ევროპა მაშინ იძულებული იქნება—კრიტის საქმეში არა ერთხელ ჩაერიოს, ვიდრე ოსმალეთის მფლობელობის დროს იყო ესა.

გაზ. „Figaro“-ს არა სჯერა, რომ ოსმალეთმა თესალიაში თავისის ჯარების დატოვება მოიწადინოს. გაზეთის სიტყვით, ეს ოსმალეთისათვის მარტო საზარალო საქმე იქნება და სხვა არაფერიო. თესალია განადგურებულია და დიდხანს არავითარს ნაყოფს არ მოუტანს არავის. თესალია ჯერ საბერძნეთის ლაშქარს არჩენდა და მას შემდეგ ოსმალეთისას. მისი ტყე და ველი, ნახნავები განადგურებულია ჯარის-კაცთა შესევით. მომეტებული ნაწილი მისთა მკვიდრთა გარდახვეწილია უცხო მხარეებში. ოსმალეთის ჯარი რომ განადგურებულ თესალიაში დარჩეს, ცხადია, თესალიის მკვიდრნი მისს რჩენას ვერ შესძლებენ, და ამიტომ ყოველივე სარჩო-საბადებელი ჯარისათვის კონსტანტინეპოლიდგანა და მაკედონიიდგან უნდა ჰზიდოს ოსმალეთის მთავრობამ, რაიცა ერთობ აუტანელი ტვირთი იქნება ოსმალეთის ხაზინისათვისო.

—

— ოსმალეთს ძლიერ უსაყვედურებენ, რომ მართალია, მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ სურვილი კი განაცხადა, მაგრამ გამორკვეულს არას ამბობს, თუ რა პირობებით უნდა ჩამოვარდეს მშვიდობიანობაო. გარდა ამისა, იმასაც უსაყვედურებენ, რომ რადგან იგი გამარჯვებულადა სცნობს თავისს თავს, რადგან საბერძნეთის უძლურება აშკარა საქმე გახდა, ამიტომ წინანდელს თავისს სიტყვებს უღალატა და ახლა იგი საბერძნეთს იმდენს საზღაურსა სთხოვს, რომლის გარდახდის თავი საბერძნეთს არა აქვსო. არავის არ უნდა გაუკვირდესო, ამბობს გაზ. „Nord“-ი, ის გარემოება, რომ ოსმალეთი სულ არა სჩქარობს დიდ სახელმწიფოთა სურვილი დააკმაყოფილოს და საბერძნეთის წინააღმდეგ მტრულს მოქმედებას თავი დაანებოსო. ეს აუჩქარებლობა, გაზეთის სიტყვით, პორტას თვისებას შეადგენს, როცა თავისს მოწინააღმდეგედ სუსტს ვისმესა ჰხედავს და ამიტომ გამარჯვების იმედი აქვს. მაგრამ ოსმალეთმა კარგად უნდა იცოდესო, დასძენს გაზეთი, რომ მას ევროპასთან აქვს საქმე და თუ-კი ევროპასა ჰსურს, რომ ბრძოლა შეწყვეტილ იქმნას, ეს სურვილი დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდესო.

სხვა ფრანგულ გაზეთების სიტყვით, ოსმალეთს არას შემთხვევაში არ შეუძლიან, თავის თავი საბერძნეთის მიერ შეურაცხყოფილად ჩასთვალოს; საბერძნეთის წინააღმდეგ თუ რამე ითქმის, ამას ევროპა უნდა ამბობდეს და არა ოსმალეთი. ევროპის საზრუნველი საგანი მშვიდობიანობის ჩამოგდებაა. მაგრამ მშვიდობიანობის დამყარების საქმეს ნუ თუ ხელს შეუწყობს, საბერძნეთის რომელიმე ნაწილი ოსმალეთს რომ დაუბრუნდეს? ევროპამ იმიტომ კი არ განათავისუფლა საბერძნეთი, რომ შემდეგ ისევ ოსმალეთი გააბატონოს იქ. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქონიოს და კარგად ასწონ-დასწონოს ოსმალეთის მთავრობამ. ევროპის სურვილის წინააღმდეგ ურჩობა ძვირად დაუჯდება ოსმალეთს. თუმც საბერძნეთზედ კი გაიმარჯვა, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ევროპას მასთან ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვსო.

— ამას წინად ხმა გავრცელდა და ჩვენც გვქონდა მოხსენებული, რომ აზრად აქვთ საბერძნეთის ფინანსები ევროპის დიდ სახელმწიფოთა მზრუნველობას დაუმორჩილოსო. ამ საგნის შესახებ საფრანგეთისა და გერმანიის ზოგიერთი გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ეს ხმები საფუძველს მოკლებული არ არისო. დიპლომატებს დიდი ხანია აზრადა აქვთ, საბერძნეთის ფინანსები ევროპის კანტროლს დაუმორჩილონ და საზოგადოდ საბერძნეთის ფინანსებს ევროპის წარმომადგენელნი განაგებდნენ, ისე როგორც ოსმალეთისასაო. ეს აზრი მარტო გერმანიას არ გამოუთქვამს, როგორც ბევრი ჰფიქრობს, არამედ რამდენსამე სხვა დიდს სახელმწიფოსაცაო. მაგრამ ეს საგანი ჯერ კარგად არ არის გამორკვეული და ოფიციალურად ამის შესახებ ჯერ მსჯელობა არა ჰქონიათო. საზოგადოდ უნდა ვაღვიაროთ, რომ იმ საქმის განხორციელება ერთობ ძნელია, რადგან მარტო ლაპარაკის ატეხაც ამის შესახებ უთანხმოებას დაჰბადებს დიდ სახელმწიფოთა შორისო.

---

## ნარევი

—

ერთი ამბავიც ჩვენის გოჯასპირისა.

ერთხელ გოჯასპირს იმისმა გაზრდილმა შავგვრემანმა ქალიშვილმა უთხრა:

— არ შეგიტყვია, წუხელის ცეცხლი გაჩნდა, კინაღამ დავიღუპეთ და შიგ ამოვიწვითო.

— დევიღუპებოდით-კი არა, გავკეთდებოდით. ასე ვიტყოდით: ღიზა მაშინ გამოგვეხრუკა ცეცხლში, თვარა თეთრი ქალი იყოო, უპასუხა გოჯასპირმა.

---

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთში ერთს ქალს მარგარიტა ბუანვალს 1883 წელს სიღათას ძილით დას ძინებია და ეს ცამეტი წელიწადი და ექვსი თვეა, რაცა სძინავს და ექიმებმა ვერას გზით ვერ გამოაღვიძეს. ქალი ისეა თურმე მისუსტებული და მილეული, რომ ყველანი დარწმუნებულნი არიან, ისე გამოეთხოვება წუთი-სოფელს, რომ გონებაზედ ვერ მოვაო. ეს ქალი ნახეს გამოჩენილმა ექიმებმა შარკომ, ბრუარდელმა, ბერილიონმა, ბარიერმა და სხვ. ექიმი ორინიე ყოველ დღე ხედავს მძინარე ქალს. მარგარიტა ბუონვილი 19 წლისა იყო, სიღათას ძილით რომ დაიძინა, საკვირველი ის არის, რომ ეს ქალი ძლიერ ჯან-საღი იყო, მხიარული, ცქრიალა, ლამაზი. ეხლა კი მკვდარს უფრო ჰგავს, ვიდრე მძინარეს, ისეა გამხდარი და მილეული. ეს პირველი მაგალითია თურმე, რომ ადამიანს ამდენ ხანს ეძინოს სიღათას ძილით.

**

ინგლისის დედოფალის ვიქტორიას იუბილეი მოახლოვდა და ამის გამო ათასობით სხვა-და-სხვა პროექტი იწერება, ეს იუბილეი როგორ ვიდღესასწაულოთო. ერთს კაცს, სახელად გრაკხს (ფლევდონიმია) შემდეგი პროექტი წარუდგენია. რადგანაც დედოფალის ვიქტორიას იუბილეი იმავე წელიწადს მოდის, რა წელსაც ცილინდრის ასის წლის იუბილეი სრულდება, ამიტომ კარგი იქმნება, დედოფალის ვიქტორიას იუბილეი იმით გადავიხადოთ, რომ ცილინდრების ხმარება მოვსპოთ. „დაე, ეს მეასე წელი ცილინდრების ხმარებისა უკანასკნელი იყოსო,—აღტაცებით ამბობს გრაკხი. პატივი ვსცეთ ჩვენს დედოფალს იმითი, რომ ბოლო მოუღოთ ამ უშნო ქუდების ხმარებას. მომავალი თაობა დიდს მადლობას გვეტყვის ამისათვის და ეხლანდელი თაობაც დიდად იქმნება მადლიერი“.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მაისი

(ღამის 11 საათზედ მიღებული)

**მოსკოვი.** აქ შეიპყრეს ერთი დამნაშავეთაგანი მათ შორის, ვინც ამას წინად ნიჟნი-ნოვგოროდში ბანკიდგან 55 ათასი მანათი მოიპარეს. შეპყრობილს უპოვეს 11 ათასი მანათი.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშამ დეპეშით შეატყობინა მინისტრს, რომ ოსმალებს ლარისასა, ვოლოს, ფარსალსა და დომოკოსში დარჩათ 17 ზარბაზანი, 34,318 ყუმბარა, 95 ყუთი ტყვია-წამლითა, 96 ეტლი 3,169 თოფი, 12,344 ყუთი ტყვია-წამლითა და სხვ.

**ვოლო.** სამხედრო აგენტები ვოლოში მოვიდნენ. რადგანაც ქალაქს ალყა აქვს შემორტყმული, აქედგან ზღვით წასვლა არ შეიძლება. ბერძნებმა შეიპყრეს ორი გემი „ავსტრიის ლლოიდისა“. ვოლოში მშვიდობიანობაა.

**ათინა.** თერმოპილი მეორე ადგილასაც გაამაგრეს.

ედჰემ-ფაშასაგან ამბავი მოვიდა, რომ თვით საბერძნეთთან მსურს მოლაპარაკებაო, მაგრამ ბერძნებმა უპასუხეს, რომ ჩვენი ბედ-იღბალი დიდ სახელმწიფოთ მივანდვეთ და ამიტომ მიზეზი არა გვაქვს თქვენთან მოლაპარაკება გავმართოთო.

**ლონდონი.** საზოგ-დოებათა პალატა. კერზონმა განაცხადა, რომ დიდნი სახელმწიფონი ყველანი თანხმა არიან მიანიჭონ კრიტს თვითმართველობა, სულთანის სიუზერენობით; გამოსარკვევია მხოლოდ პროექტის დაწვრილებული პირობები. შემდეგ, კერზონი იუწყება, რომ ბერძენთა და ოსმალთა შორის ზავის ჩამოგდების შესახებ პირობა ხელ-მოწერილია პორაცის მაღლობზედ, ლამიასთან და იმავე დღეს დაიწყო. ორთავე სახელმწიფოს ჯარებს ისევ ის ადგილები უჭირავთ. ზავის ვადა განსაზღვრული არ არის. თესალიაში ოსმალთა სარდალი იმ აზრისაა, რომ ზავის ვადა 15 დღეს არის დანიშნული.

**კოპენჰაგენი.** მეფემ მიიღო სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი რეედტც ტოტის სამინისტროსი და დანიშნა ახალი კაბინეტი გერრინგის თავმჯდომარეობით.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ნოვოროსიისკელ ქართველებს, რომელთაც დამიკვეთეს ჩემდამო რწმუნებულ ტფილისის ფერისცვალების მონასტრის სამრევლო სკოლის მოსწავლეთა სასარგებლოდ საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ ამა 1897 წლის გამოცემა. დიდს მადლობასვე ვუცხადებ ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორ გამომცემელს ქ-ბს ანასტასია თუმანოვ-წერეთლისას, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ზემოდ ხსენებულ ქართველთაგან მიუღია მხოლოდ სამი მანეთი, მაინც მთელის წლით დამითმო გაზეთი.

მასწავლებელი ონისიმე ივანეს ძე პიკაძე

---


# განცხადებანი

**ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლით 1897—1901 წ. ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევანი კვირას, 18 ამა მაისს, იქნება** ტფილისის საბრანიის საზაფხულო სადგურში, მიხეილის ქუჩაზედ თაიროვის ბაღში.

კრება დაიწყება დილის 8 საათზედ. (3—6.—1)

---

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა** ამითი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 28 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა.

(3—უ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13го Мая 1897 г. სტამბა ა. მ:რხ:ისა და აძსახაგოსასა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.